შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№42 (9.607)

2–9 ნოემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მარგველაშვილი – 79,39%
დედოფლისწყარო მეორე ადგილზე!

გიორგი მარგველაშვილს ყველაზე დიდი მხარდაჭერა საჩხერისა და დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქებში გამოუცხადეს. დედოფლისწყარო ქვეყნის მასშტაბით მეორე ადგილზეა, სადაც „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა კახეთის მასშტაბით ყველაზე მაღალი პროცენტი მიიღო. ოფიციალური მონაცემებით, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დედოფლისწყაროში მარგველაშვილს ამომრჩეველთა 79,39%-მა დაუჭირა მხარი, რაც საბოლოო ჯამში 9 755 ამომრჩეველია.

რაც შეეხება ამომრჩეველთა საერთო აქტივობას, დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში, საკუთარი არჩევანი 18 წელს მიღწეულ ამომრჩეველთა 53,24%-მა დააფიქსირა.

დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიამ შემაჯამებელი ოქმი ექსცესების გარეშე დაამტკიცა, 30 ოქტომბრის სხდომას კომისიის თავმჯდომარე დავით ბუჩუკური უძღვებოდა. შემაჯამებელ სხდომას არ დასწრებია კომისიის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ზურაბ ყოჩიაშვილი.

ოფიციალური მონაცემებით, დავით ბაძრაძემ 11,74% (1442 ხმა), ნინო ბურჯანაძემ 4,6% (565 ხმა). ბათილად გამოცხადდა 145 ბიულეტენი.

დავით ბუჩუკური *(დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე)*:- „სხვა არჩევნებთან შედარებით ნამდვილად მშვიდი და ყველანაირად მოწესრიგებული არჩევნები იყო. ყველა კანდიდატს ჰქონდა საშუალება თავისუფლად ეწარმოებინა წინასაარჩევნო კამპანია და ამისათვის არანაირი ხელისშემშლელი გარემოება არ არსებობდა. რაც შეეხება დარღვევებს, მხოლოდ პროცედურული დარღვევები დაფიქსირდა და საუბნო საარჩევნო კომისიებმა მაქსიმალურად ორგანიზებულად იმუშავეს და ეს დარღვევები მალვე აღმოიფხვრა. რაც შეეხება საოლქო-საარჩევნო კომისიას, აქ სულ ორი საჩივარი შემოვიდა, რომელიც ასევე პროცედურულ დარღვევებს შეეხებოდა და, რა თქმა უნდა, არ იყო იმდენად სერიოზული მნიშვნელობის, რომ შედეგზე გავლენა მოეხდინა. დაწერეთ შემაჯამებელი ოქმი, რომელსაც კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა და ხელი მოაწერა. შემიძლია თამამად გითხრათ, რომ წელს დედოფლისწყაროში ჩატარდა ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო არჩევნები. მოქალაქეთა აქტივობას რაც შეეხება, სხვა წლებთან შედარებით ცოტა დაბალი აქტივობა იყო, თუმცა კანონმდებლობით არ არის იმის აუცილებლობა, რომ აქტივობამ რაიმე პრობლემა შექმნას. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ეს არჩევნები არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც დადებითად შეფასდა და ხაზგასმით ითქვა, რომ ეს არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის განვითარებისკენ.“

არჩევნების პროცესს დადებითად აფასებენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების ადგილობრივი წარმომადგენლები. „სამართლიანი არჩევნების“ დედოფლისწყაროს კოორდინატორი ვენერა ქუსიკაშვილი №14-ე დედოფლისწყაროს ოლქში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს დადებითად აფასებს, მისი თქმით ამ დოზით დემოკრატიული არჩევნები მას არ ახსოვს.

ვენერა ქუსიკაშვილი: „ამომრჩეველი, რატომღაც, არ იყო ძალიან აქტიური. საკმაოდ მშვიდ გარემოში ჩაიარა კენჭისყრის დღემ, ცალკეულ საარჩევნო უბნებზე სიარულისას ხშირად მავიწყდებოდა, რომ არჩევნებს ვაკვირდებოდი. საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ ძალიან უმნიშვნელო დარღვევები გამოვლინდა, ის კი გავლენას ვერ მოახდენდა საბოლოო შედეგზე. გასულ წელს, საპარლამენტო არჩევნებზე, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს, დედოფლისწყაროში მოსყიდვისა

(გაგრძელება გვ.4)

საქართველომ კიდევ ერთი ტესტი ჩააბარა
ყველაზე დიდ ინტრიგად პრემიერის შემცვლელის ვინაობა რჩება

საქართველომ საპრეზიდენტო არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარებით კიდევ ერთი ტესტი ჩააბარა, როგორც მსოფლიო საზოგადოების, ისე საკუთარი ხალხის წინაშე-ქვეყანამ თავისი დამოუკიდებლობის ისტორიაში კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგა. ქვეყანაში მეორედ ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, რომელმაც საბოლოოდ უთხრა სააკაშვილის ხელისუფლებას “კმარა”. განსხვავებულმა მეთოდმა, რომელიც ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის დღიდან დამკვიდრდა, აჩვენა, რომ ქვეყანაში რეჟიმების ცვლისთვის სამოქალაქო ომები და რევოლუციები არ არის საჭირო! შეიქმნა ახალი რეალობა, როცა მშვიდად მოხდა ხელისუფლების ცვლა.

ახალი პრეზიდენტი, რომლის ინაუგურაციაც ცოტა ხანში მოხდება და ამის შემდეგ ის ოფიციალურად ჩაიბარებს პრეზიდენტის სავარძელს, ირწმუნება, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში დემოკრატიის ხარისხი ქვეყანაში მნიშვნელოვნად ამაღლდება. დღეს ქართველმა ხალხმა თავისი არჩევანი ნებისმიერი ძალდატანების გარეშე გააკეთა. მოსახლეობა ერთხმად აღნიშნავს, რომ ბოლო წლებისგან განსხვავებით, ასეთი თავისუფალი საარჩევნო გარემო ჯერ არ ყოფილა...

ქართული საზოგადოების ინტერესი მხოლოდ არჩევნების წარმატებით დასრულებით არ მთავრდება. და რადგანაც ჩვენ საკმაოდ პოლიტიზირებული ერი ვართ, ყველაზე დიდ ინტრიგად პრემიერის შემცვლელის ვინაობა რჩება: სადაც არ უნდა გაიაროთ, მოსახლეობის საუბრის ერთ-ერთ თემად მომავალი პრემიერობის კანდიდატი წარმოადგენს და ისმის კითხვა-ვინ იქნება ის? კულუარებში რამდენიმე კანდიდატურა სახელდებოდა, თუმცა, პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ერთმა მინიშნებამ, რომ მისი შემცვლელი სამთავრობო გუნდიდან იქნებოდა, წრე კიდევ უფრო დაავიწროვა. მედიასაშუალებებთან ერთად მოსახლეობაც ზოგჯერ გამორიცხვის მეთოდს იყენებს და ამ საშუალებით ცდილობს შესაბამისი კანდიდატის გამოცნობას... ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ის მის შემცვლელს კვირის ბოლოს დაასახელებს, თუმცა, სამთავრობო ცვლილებები ამით არ დასრულდება. საქართველოს კანონმდებლობით, მთავრობის მეთაურის ცვლილება მთავრობის დათხოვნას ითვალისწინებს. ამიტომ, ჯერ ძნელია იმისი თქმა, ვინ სად აღმოჩნდება და რომელი მინისტრი შეინარჩუნებს პოსტს.

ამ დღეებში კიდევ ერთი თემა, რომელიც მოსახლეობის ყურადღების ცენტში მოექცა, უშიშროების საბჭოს მდივნის სავარძლის მომავალი მფლობელის ვინაობა იყო. დღეს ცნობილი გახდა, რომ ამ პოსტს ირინე იმერლიშვილი დაიკავებს. კულუარებში გავრცელებული ინფორმაცია ამჯერად გამართლდა. ვნახოთ, გამართლდება თუ არა პრემიერობის კანდიდატთა ვინაობა იმ დასახელებული მინისტრებიდან, რომლებიც ყველაზე წარმატებულ მთავრობის წევრებად სახელდებიან. დედოფლისწყაროელები აშკარად გულშემატკივრობენ ჩვენს თანამემამულე ირაკლი ღარიბაშვილს, რომლის შსს მინისტრობის დროსაც ბევრი წარმატებული რეფორმა გატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და რომლის კანდიდატურაც კულუარულად განიხილება მომავალი პრემიერობის პოსტზე.

მშვიდობიან და წარმატებულ კვირას გისურვებთ, ჩვენო მკითხველებო, და ბევრ ისეთ ინფორმაციას, თქვენ რომ გაგახარებთ!

ინგა შიოლაშვილი

ამერიკის საჩუქარი დედოფლისწყაროს

გვ. 7

სიახლისადმი ინტერესიც და ტრადიციების ერთგულებაც

გვ. 6

პრემიერმა კახეთის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგია დაამტკიცა

გვ. 3

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

მარგველაშვილი - აფხაზები თავად მოინდომებენ ჩვენთან ცხოვრებას

აფხაზები თავად მოინდომებენ ქართველებთან ცხოვრებას, - ამის შესახებ საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა "ბი-ბი-სი"-ს რუსული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. გიორგი მარგველაშვილმა "ბი-ბი-სი"-სთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში საქართველოს პოლიტიკის შესახებ ისაუბრა. არჩეული პრეზიდენტი რუსეთთან და ევროკავშირთან ურთიერთობის საკითხსაც შეეხო და უცხოურ მედიას ოპოზიციის შესახებ მოსაზრებები გაუზიარა. მარგველაშვილმა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სტრატეგიაზე საუბრის კონტექსტში აღნიშნა, რომ ეს საკითხები ბუნებრივია გადაწყდება მხოლოდ იმ ფორმატში, რომელშიც რუსი, ქართველი დიპლომატები და კოლეგები ერთად გაიაზრებენ შექმნილი სიტუაციის პრობლემატურობას.

"ეს საკითხები თავისთავად წყდება დიალოგში იმ მოსახლეობასთან, რომელიც დარჩა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე. ჩვენ გვაქვს რაციონალური მიდგომა ამ პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც შედგება რამდენიმე პუნქტისგან. პირველ რიგში, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენს პარტნიორებთან ამ ტერიტორიების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების არაღიარების მიმართულებით. ეს მეოცე საუკუნის კონცეფციის შესაბამისობაშია. იმ კონცეფციის, რომლის მიხედვითაც, პატარა ქვეყნები უნდა იყვნენ დაცულნი და მათი ტერიტორიული მთლიანობა უნდა იყოს აღიარებული მთელი მსოფლიოს მიერ. ერთი მხრივ, ეს არის ის, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, მეორე მხრივ, ჩვენ ვეცდებით დავნიოთ ტემპერატურა, მოვახდინოთ ნეგატიური ფონის სტაბილიზება, რომელიც არსებობს ჩვენსა და მოსკოვს შორის", - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე მტკიცებით, ხელისუფლება იმუშავებს კომპლექსურად ყველა მიმართულებით და საქართველოში შეიქმნება საზოგადოება, სადაც ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაცული იქნება.

"ჩვენ შევქმნით ისეთ საზოგადოებას საქართველოში, სადაც დაცული იქნება ყველა მოქალაქე, მათ შორის, ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი და ეს არა მხოლოდ კონსტიტუციით იქნება გარანტირებული, არამედ გამოჩნდება პრაქტიკაში. ჩვენ შევქმნით საზოგადოებას, სადაც ჩვენი აფხაზი და ოსი ეროვნების მოქალაქეები ისურვებენ ცხოვრებას. ჩვენ ვიმუშავებთ კომპლექსურად ყველა მიმართულებით, სოხუმის, ცხინვალის, მოსკოვის მიმართულებით, და ჟენევის ფორმატის მიმართულებით. თუ შევძლებთ, რომ მოლაპარაკებათა მაგიდას მივუსხდეთ და გავიაზროთ, რომ არსებული სიტუაცია არ აწყობს არც ერთ მხარეს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მივალთ იმ პრობლემების გადაწყვეტამდე, რომლებიც სამწუხაროდ შეიქმნა რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის", - აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

1 იანვრიდან მეორე ჯგუფის წამლის რეცეპტის გარეშე გაყიდვა დაჯარიმდება

2014 წლის 1 იანვრიდან მეორე ჯგუფის მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვა იკრძალება. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მეორე ჯგუფის მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვისთვის აფთიაქი პირველ ჯერზე 1000 ლარით დაჯარიმდება.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განმარტებით, მეორე ჯგუფში ანტიბიოტიკები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების სამკურნალო საშუალებები, ჰორმონული, ონკოლოგიური და სხვა პრეპარატებია განსაზღვრული. მისივე თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა ანტიჰიპერტენზიულ - წნევის მარეგულირებელ მედიკამენტებზეც, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე შეზღუდვის არეში მოხვდება. მედიკამენტების ზუსტი ნუსხა კი, 2014 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრება.

„ნარკოტიკული თრობისთვის ზოგიერთ მეორე ჯგუფის მედიკამენტს იყენებენ. ამიტომ მივიღეთ უკონტროლო სისტემა, რა დროსაც მედიკამენტების არადანიშნულებისამებრ მოხმარება ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, იწვევს ნარკოტიკულ თრობას. რეგულაციების შემოღების მთავარი მიზანი არის ის, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ისეთი მედიკამენტების ექიმის გარეშე გაცემა, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ეს არის ე.წ. სააფთიაქო ნარკომანიასთან ბრძოლის ერთ—ერთი მძლავრი ინსტრუმენტი“,— განაცხადა მინისტრმა.

სამინისტროს ცნობით, 2014 წლიდან ურეცეპტოდ გაიყიდება მესამე ჯგუფის ზოგიერთი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, ასევე, სიცხის დამწევი საშუალებები, გაციების, ალერგიის საწინააღმდეგო, გულის წვეთები და ა.შ.

საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით, არასრულწლოვნებისთვის მეორე და მესამე ჯგუფის მედიკამენტების გაცემა, რეცეპტის მიუხედავად, მაინც შეიზღუდება. პაციენტებს კი, ვისაც ქრონიკული დაავადება აქვთ და მუდმივად ესაჭიროებათ ესა თუ ის მედიკამენტი, მათთვის გრძელვადიანი რეცეპტები გაიცემა.

ბიძინა ივანიშვილი - ისრაელთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე გადაწყვეტილება მიღებულია

საქართველოს პრემიერ — მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ისრაელთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე გადაწყვეტილება მიღებულია. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განმარტებით, საქართველოსა და ისრაელს შორის უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით დეტალები საქართველოს შს მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრისას დაზუსტდება.

„მე ყველაზე წარმატებული ვიზიტი მქონდა ისრაელში. თუ გახსოვთ, სავიზო რეჟიმის გაუქმება ვითხოვე. შემიძლია, მოგილოცოთ, რომ ისრაელმა ეს გააკეთა. სავიზო რეჟიმი გაუქმებულია და ქართველებს შეუძლიათ ისრაელში უვიზოდ ჩავიდნენ“, — განაცხადა პრემიერ — მინისტრმა ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონულ ამბასადორიალში მონაწილეობის მიღებას.

პოლონეთი მზადაა, მომავალშიც ითანამშრომლოს საქართველოსთან

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, პოლონეთის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები პარტნიორული და ნაყოფიერი თანამშრომლობის კარგი მაგალითია და პოლონეთი მზად არის, მომავალშიც მხარი დაუჭიროს პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებას.

"მინდა, დაგიდასტუროთ თქვენდამი ღრმა პატივისცემა და გულითადად მოგილოცოთ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება. მინდა დაგარწმუნოთ, ბატონო პრეზიდენტო, რომ პოლონეთი მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სწრაფვას. პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად კვლავაც რჩება თანამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის. ამ კონტექსტში, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო საქართველოს წარმატება ევროკავშირთან ურთიერთობების დამყარებაში, რომლის დასტურიც უნდა იყოს ევროკავშირის ასოცირებული შეთანხმების გაფორმება მოახლოებულ ვილნიუსის სამიტზე", - ნათქვამია პოლონეთის პრეზიდენტის მისალოც წერილში.

ცივი იარაღის ტარებისთვის ჯარიმა იზრდება

ცივი იარაღის ტარებისთვის 200 ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა დაწესდება. პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან პირებს.

იგივე ქმედების გამეორების შემთხვევაში სამართალდარღვევებს 1000 ლარიანი ჯარიმა, ან 15 დღის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა დაეკისრებათ.

რეგულაციები მკაცრდება მოტოციკლით სარგებლობასთან დაკავშირებითაც. საკანონმდებლო ინიციატივით, რომლითაც შსს-მ პარლამენტს უკვე მიმართა, მოტოციკლის მძღოლი და მისი მგზავრი შეკრული ჩაფხუტის გამოუყენებლობისთვის 100 ლარით დაჯარიმდება. აქამდე ჯარიმა 10 ლარით განისაზღვრებოდა.

ძროხის პატრონი ან მწყემსი 10 ლარით დაჯარიმდება

პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებები განიხილა, რომელიც გზებზე პირუტყვის გადაადგილების წესებს და მათი დარღვევისთვის დაწესებულ სანქციებს ეხება.

ცვლილების მიხედვით, თუ ძროხები მათთვის დაწესებულ მოძრაობის წესებს დაარღვევენ, მათი პატრონი ან მწყემსი 10 ლარით დაჯარიმდება.

„მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის გადაადგილების წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით. მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის დაჯარიმებაზე პასუხისმგებელი პირი არის მეხრე, მწყემსი, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის გადაადგილებას და უსაფრთხოებას. მეხრეს არარსებობის შემთხვევაში კი ეს არის მესაკუთრე. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ცხოველი ვერ დაჯარიმდება და პასუხისმგებლობა პატრონს უნდა დაეკისროს, მესაკუთრეს ან მეხრეს“, — განაცხადეს იურიდიულ კომიტეტში.

გიორგი მარგველაშვილი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას ვეცდავს

ჩვენ გვაქვს გარკვეული მზადყოფნა, დავწიოთ დაძაბულობა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში, - ამის შესახებ საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა "ბი-ბი-სი"-ს რუსული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

როგორც მარგველაშვილმა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ საუბრისას აღნიშნა, საქართველოს ურთიერთობები ევროკავშირთან ინტენსიურ ხასიათს იძენს.

"რამდენიმე კვირაში ვილნიუსში შედგება სამიტი, სადაც ჩვენ ვაპირებთ ჩვენი ურთიერთობების, ასოცირებული წევრობის და სავაჭრო კავშირების პარაფირებას. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს, როგორც ევროპული სახელმწიფოს განვითარებაში. ამასთან, ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული ფორმატი ტემპერატურის, აგრესიისა და დაძაბულობის დაწევის, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში. ჩვენ შევქმენით ფორმატი, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის. ზურაბ აბაშიძე მუშაობს რუს პოლიტიკოსებთან სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების გახსნის მიმართულებით", - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა და დასძინა, რომ ხელისუფლება ამ ურთიერთობების განვითარებას აპირებს.

"ჩვენ გვაქვს გარკვეული მზადყოფნა, დავწიოთ დაძაბულობა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში. გარკვეულ მომენტში ჩვენ ვიქნებით მზად, უფრო ეფექტურად ვიმუშაოთ ჟენევის ფორმატში, სადაც ქართველი და რუსი დიპლომატები ხვდებიან ჩვენს დასავლელ კოლეგებს და საუბრობენ იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიქმნა 2008 წელს. ასევე იმ რეალობის შესახებ, რომელიც შესაცვლელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიტუაციის სტაბილიზაცია მიგვიყვანს რაციონალურ დიალოგამდე ჩვენს ქვეყნებს შორის", - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

რწმენისა და აღმსარებლობის ხელის შეშლასთან დაკავშირებით კანონს სპეციალური მუხლი დაემატება

"ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს" სპეციალური მუხლი ემატება, რომელიც ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობისთვის ხელის შეშლას ეხება და ასეთ ქმედებაზე ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებს.

აღნიშნული მუხლის სამუშაო ვარიანტი ასეთია - ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობისთვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატება: რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვაში ან სხვაგვარი დამამცირებელი ქმედებაში, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას; ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლაში; რელიგიური შუღლის და სიძულვილის საჯაროდ გამოხატვაში ან ამგვარი ქვედებისკენ საჯაროდ მოწოდებაში; რელიგიური შენობების და სხვა სიწმინდეების წაბილწვაში, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთებაში ან მათ დაზიანებაში - პროექტის თანახმად, ასეთი ქმედება გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე, ხოლო წლის განმავლობაში მისი განმეორების შემთხვევაში პირი 1000- დან 1500 ლარამდე დაჯარიმდება ან 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა დაეკისრება.

ადამიანის რწმენის და აღმსარებლობის ხელის შეშლასთან დაკავშირებული მუხლი "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" იმ პროექტს ემატება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტს ივნისში წარუდგინა. კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში ასეთი ტიპის სამართალდარვევაზე არაფერი ეწერა და მუხლი პროექტს მოგვიანებით ჩაემატა.

კანონპროექტი პარლამენტში მეორე მოსმენით განხილვის საგანს წარმოადგენს. საკითხის ინიციატორებისა და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სურვილია, რომ აღნიშნული მუხლის კენსჭისყრაზე დაყენებამდე, დაზუსტდეს მისი შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო აქტებთან.

ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობის ხელის შეშლის ქმედების განმახორციელებელი პირების წინაალმდეგ გადაწყვეტილებას პარლამენტი სწორედ ამის შემდეგ მიიღებს.

ავტოსაგზაო შემთხვევა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში, ცენტრალურ მაგისტრალზე თბილისიდან დედოფლისწყაროს მიმართულებით მიმავალი მცირე ზომის სამარშრუტო ტაქსი ტრაქტორს შეეჯახა. ტაქსს მგზავრები ქალაქ დედოფლისწყაროში გადაჰყავდა.

თვითმხილველების განმარტებით, ტრაქტორს მიბმული ჰქონდა გუთანი, რომელმაც სამარშრუტო ტაქსი დააზიანა. ადგილზე იყო მობილიზებული საპატრულო ეკიპაჟიც.

წინასწარი ინფორმაციით, მგზავრებმა დაზიანებები მიიღეს. როგორც შსს პრესსამსახურის წარმომადგენელმა, შორენა ჯახუამ „შირაქს“ განუცხადა, ტაქსის მძღოლი ტრაქტორისთვის გადასწრებას ცდილობდა, რა დროსაც შემთხვევა მოხდა.

ჯახუას განმარტებით, შეჯახების შედეგად მგზავრებს სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ. მისი თქმით, მძღოლებს ერთმანეთთან პრეტენზია არ ჰქონდათ, რის გამოც ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

პრემიერმა კახეთის განვითარების 2014 - 2021 წლების სტრატეგია დაამტკიცა

პრემიერ — მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კახეთის რეგიონის განვითარების 2014 - 2021 წლების სტრატეგია დაამტკიცა. დოკუმენტის თანახმად, მომდევნო 8 წლის განმავლობაში, ინვესტიციები ძირითადად სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის და ტურიზმის განვითარებას მოხმარდება. რეგიონში დაგეგმილია არაქისის წარმოების გაფართოება, ატმისა და ყინვაგამძლე გარგარის გაშენება. ცივის მთაზე იგეგმება ზამთრის სათხილამურო ტურიზმის განვითარება.

სოფლის მეურნეობა

სტრატეგიის თანახმად, 2014 -2021 წლებში, კახეთში მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების და ვენახების ინვენტარიზაცია, შეიქმნება მიწის მესაკუთრეთა მონაცემთა ბაზა. გაიზრდება მეღვინეობის საექსპორტო პოტენციალი ხარისხის ამაღლებისა და საკანონმდებლო ბაზის დახვეწის გზით. შეიქმნება სანერგე მეურნეობები და ნერგების შესამოწმებელი ლაბორატორიები. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პროფესიულ სასწავლებლებში დაინერგება მევენახე - ფერმერთა და მეღვინეთა მომზადება - გადამზადების სასწავლო პროგრამები.

საშუალო და მცირე წარმოების სტიმულირებით, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით განვითარდება მეღვინეობა. ღვინის მწარმოებელ მცირე და საშუალო ქარხნებში მოხდება ინვესტიციების ჩადების მიზანშეწონილობის შესწავლა. რეკლამის მიზნით ჩატარდება საოჯახო ღვინის ფესტივალები და გამოფენები.

მარცვლეულის მოცულობისა და ხარისხის ზრდის მიზნით, მოხდება ჯიშთა დარაიონება და მაღალკონდიციური სათესლე მასალის წარმოება: „შეიქმნება ჯიშთა გამოცდისა და სათესლე მეურნეობები. მოხდება ადრე არსებული მეურნეობის აღდგენა. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს წარმოებული სათესლე მასალის მაღალ ხარისხს“, - აღნიშნულია სტრატეგიაში.

შეიქმნება თანამედროვე სასაწყობო მეურნეობების, საშრობების, დასაფასოებელი საწარმოების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორია, რაც დოკუმენტის თანახმად, ხელს შეუწყობს გამოშვებული პროდუქციის მაღალ ხარისხს.

ბოსტნეულ - ბაღჩეული კულტურების წარმოებაში თანამედროვე აგროტექნოლოგიური მეთოდები დაინერგება, ჩაიდება ინვესტიციები საკონსერვო, სამაცივრე და შესანახ სასაწყობო მეურნეობაში, რის შედეგადაც მოხდება ბოსტნეულ - ბაღჩეული საკონსერვო პროდუქციის წარმოების განვითარება.

ასევე, დოკუმენტის თანახმად, იგეგმება არაქისის წარმოების გაფართოება, გატარდება ადგილობრივი ბაზრის ათვისებაზე მიმართული მარკეტინგული ღონისძიებები.

მთიან რეგიონებში ბიოკარტოფილის წარმოებისთვის ჩატარდება ნიადაგის ანალიზები და შეიქმნება სასაწყობო მეურნეობები.

ატმისა და გარგარის გაშენებით, შესანახი მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოს შექმნით განვითარდება მეხილეობა: „შეიქმნება ატმის თანამედროვე სანერგე მეურნეობები და გაშენდება ინტენსიური ბაღები. შეიქმნება ყინვაგამძლე გარგარის სანერგე მეურნეობები, რის შედეგად ატმისა და გარგარის პროდუქციის მოცულობა გაიზრდება. შეიქმნება ხილის საცავები და აშენდება თანამედროვე საკონსერვო წარმოება, რის შედეგადაც დაიწყება ხილის შენახვა და დაკონსერვება“, - აღნიშნულია კახეთის განვითარების სტრატეგიაში.

გაიზრდება **თაფლის** წარმოება, იგეგმება მისი ექსპორტზე გატანაც: „მეფუტკრეებისთვის დამხმარე ინვენტარისა და მასალების შეძენის, სკების გადასატანი კონტეინერების მიწოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მოხდება თაფლის და მისი თანმდევი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა“, - ნათქვამია დოკუმენტში.

რეგიონში ჩატარდება ცხოველთა ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია, ასევე ცხოველთა განსაკუთრებით საშიშ დაავადებებზე, როგორიც არის თურქული, ბრუცელოზი და ჯილეხი, მოხდება დროული ვაქცინაცია. ცენტრალურ დონეზე შეიქმნება და ამოქმედდება ვაქცინების ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმი. შეიქმნება კერძო ვეტერინარული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა.

რძის და ხორცის წარმოების განვითარებისთვის შეიქმნება ჯიშთსაშენების, ხელოვნური დათესვლის პუნქტები. აშენდება თანამედროვე ფერმები, მოხდება ინვესტიციების მოზიდვა რძისა და რძის პროდუქტების თანამედროვე საწარმოების შექმნაში და ხორცის წარმოებაში.

მოხდება მაღალპროდუქტიულ ფრინველთა სახეობების გამრავლება, საოჯახო და მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების წახალისება, რაც გაზრდის მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების მოცულობასა და კონკურენტუნარიონობას. კერძო სექტორის ძალისხმევით ამოქმედდება თელავის მეფრინველეობის ფაბრიკა და აღიჭურვება ტექნოლოგიებითა და კვალიფიციური კადრებით.

ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა ტიპის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკა. სოფლებში მოხდება ვაზისა და ხეხილის სარგავი, სათესი, ნიადაგის გამაფხვიერებელი ტექნიკის შეტანა, სასუქის შემტანი და მოსავლის ამღები ტექნიკით უზრუნველყოფა. მექანიზატორები რეგიონის პროფესიულ სასწავლებლებში აიმაღლებენ კვალიფიკაციას.

მოხდება სარწყავი სისტემების, სათავე ნაგებობების, მაგისტრალური არხების, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და შიდა სარწყავი ქსელების აღდგენა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა.

შეიქმნება საკონსულტაციო ცენტრები, სადაც ბიზნესის წარმომადგენლებს კვალიფიციურ კონსულტაციებს გაუწევენ საგადასახადო საკითხებზე, ფინანსური რესურსების მოზიდვისა და საწარმოს ფინანსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. შედეგად, შესწავლილი იქნება არსებული ნედლეული და საწარმოო პოტენციალი და მოხდება მეწარმეების საჭირო ინფორმაციით აღჭურვა.

პროფესიული გაერთიანებები შეიქმნება სოფლის მეურნეობაში, ბიზნესსა და ტურიზმში.

ტურიზმი

რეგიონის ტურიზმის პოტენციალის ათვისების შემთხვევაში მოხდება რეკრეაციული, სათავგადასავლო, ეკოტურიზმის, აგროტურიზმის განვითარება. ბალნეოლოგიური კურორტები განვითარდება გურჯაანის (ახტალა) და საგარეჯოს (უჯარმა) მუნიციპალიტეტებში. შეიქმნება ტურისტული ბაზები, ზაფხულში საფეხმავლო მარშრუტები, ხოლო ზამთარში, ცივის მთაზე განვითარდება სათხილამურო ტურიზმი.

„ტურიზმის განვითარებისთვის გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგება, მოწესრიგდება ნაგავსაყრელები, გაუმჯობესდება სანიტარიულ - ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, მოგვარდება მაწანწალა ცხოველების პრობლემა. გაუქმდება სტიქიური ნაგავსაყრელები და მოხდება ნარჩენების ორგანიზებულად მართვა“ - ნათქვამია დოკუმენტში.

ტურისტული ბიზნესის შესახებ რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარდება კურსები და ტრენინგები, სადაც დაინტერესებული პირები ტურისტული ბიზნესის დაწყებისა და მართვისათვის აუცილებელ უნარ - ჩვევებსა და ცოდნას შეიძენენ. იგეგმება ტურიზმის სფეროში პროფესიული ასოციაციის შექმნაც, რომლის მიზანი იქნება დარგის ინტერესების ლობირება, საქმიანი ურთიერთობების დამყარება, მომსახურების განვითარება, სახსრების მოძიება და დარგში მომუშავე ხალხის ჩართულობის ამაღლება.

ენერგეტიკა

დოკუმენტის თანახმად, მოხდება ბიოსაწვავში ინვესტიციების ჩადების მიზანშეწონილობის შესწავლა და პროექტების განხორციელება, ასევე, ალტერნატიული ენერგიის წყაროების ათვისება და განვითარება: „ელექტროენერგია უფრო ხელმისაწვდომი გახდება მოსახლეობისთვის და რეგიონული ეკონომიკისთვის“, - ნათქვამია კახეთის განვითარების სტრატეგიაში.

დამონტაჟდება ენერგოდამზოგავი და ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე მომუშავე ნათურები. მოხდება მზის ენერგიის წარმოებისა და გამოყენების შეფასება და დანერგვა. ჩატარდება თუშეთისა და მდინარე ილტოს ხეობის სოფლების შესაძლებლობების შესწავლა და ხელი შეეწყობა მათი ალტერნატიული ენერგიით უზრუნველყოფას.

ინფრასტრუქტურა

იგეგმება სასმელი წყლის ამორტიზებული ქსელების რეაბილიტაციის ხელშეწყობა და სათავე ნაგებობების სისტემების მოწყობა. ასევე, სოფლებში სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფისთვის მოძველებული წყლის ქსელების გამოცვლა და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია. გაგრძელდება წყალზე მრიცხველების დამონტაჟება. წყლის არამიზნობრივ და უყაირათო მოხმარებაზე დაწესდება სანქციები, რაც მკვეთრად შეამცირებს წყლის დანაკარგებს. განხორციელდება წყლის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

სოფლის წყლის მიწოდებასა და ნარჩენების გატანაზე დაწესდება გადასახადი, დაინერგება ტარიფის დადგენა - ამოღების სისტემა და მოხდება მისი ადმინისტრირება.

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებული თანხები რეინვესტირებული იქნება სოფლის წყლის მიწოდებისა და ნარჩენების გატანის მომსახურების განვითარებაში. შედეგად მიღწეული იქნება ფინანსური რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება.

რეგიონში გაფართოვდება ბუნებრივი აირის ქსელი და მოხდება მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა. გაგრძელდება სოფლებში ცენტრალური გაზსადენის შეყვანა და დამონტაჟდება მრიცხველები.

ქალაქებში გაგრძელდება ქუჩებისა და სანიაღვრე ქსელების, სოფლებში კი ცენტრალური სასოფლო გზების და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია.

რეგიონის მასშტაბით გაუმჯობესდება დასახლებული პუნქტების გარე განათება.

დაგეგმილია რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის ინტერნეტით დაფარვის გაზრდა.

„შესაბამისი კავშირგაბმულობის სისტემებისა და ობიექტების დამონტაჟება განხორციელდება იმისათვის, რომ ყველა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული ინტერნეტში ჩაერთოს. საჯარო დაწესებულებები და სასწავლო ობიექტები ინტერნეტით იქნებიან უზრუნველყოფილი. დასახლებულ პუნქტებში ინტერნეტის გაყვანილობა იქნება მიყვანილი. შედეგად ინტერნეტის ხელმისაწვდომობა გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის განათლებას და რეგიონის სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას“, - აღნიშნულია კახეთის განვითარების სტრატეგიაში.

გარემოს დაცვა

ჩატარდება ტყეების სტრატეგიული ზონირება და ინვენტარიზაცია. ასევე, საძოვრებისა და არასატყეო ფართობების იდენტიფიცირება. შეიქმნება გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი მცენარეებისა და ცხოველების მონაცემთა ბაზა. შემუშავდება კახეთის რეგიონის ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და წითელი ნუსხა. მოხდება ჭალის ტყეების კონსერვაცია და ჩატარდება ფიტოპათოლოგიური კვლევები. რეგიონის ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით შეიქმნება სანერგე მეურნეობები.

გაუმჯობესდება დაცული ტერიტორიების მართვა, ცენტრალურ დონეზე შემუშავდება ბაწარა-ბაბანეურის, მარიამჯვრის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის, ივრის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიების მართვის გეგმები. ცენტრალურ დონეზე, კახეთის რეგიონის ყველა დაცული ტერიტორიისთვის მომზადდება ტურისტული პოტენციალის შეფასების დოკუმენტები.

მოხდება ჰაერის ხარისხის კონტროლის დაწესება. აღირიცხება ის საწარმოები, რომლებიც ჰაერში მავნე ნივთიერებებს გამოაფრქვევენ. კახეთში ამოქმედდება ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების სადგური. ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდება საზოგადოებრივი საგანმანათლებლო და ახსნა - განმარტებითი სამუშაოები ფოთლის წვის უარყოფითი შედეგების შესახებ. ჰაერის დაბინძურებისთვის შემოღებული იქნება ჯარიმები.

სეზონური კატასტროფების პრევენციისთვის დაინერგება წინასწარი შეტყობინებების სისტემა. დაიხვეწება ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შესახებ არსებული რეაგირების გეგმები. ყველა მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობაში შეიქმნება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის აღრიცხვისთვის ნდობით აღჭურვილი დელეგირებული სამუშაო ჯგუფები, რომლის მუშაობაშიც ჩაერთვებიან სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები და აქტიური მოქალაქეები. ასევე, ფერმერულ მეურნეობებში სახელმწიფოს ხელშეწყობით დაინერგება სეტყვის საწინააღმდეგო, გვალვის საწინააღმდეგო და ქარსაფარის თანამედროვე ტექნოლოგიები.

„მოხდება პასუხისმგებელი საჯარო პირების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. შეიქმნება რისკების შეფასების დოკუმენტების, რისკების რუკებისა და მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზა. მოწესრიგდება ბუნებრივი კატასტროფების შემცირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (სადრენაჟო სისტემები, ნაპირსამაგრი სამუშაოები, გამწვანებითი სამუშაოები). შედეგად რეგიონში შეიქმნება სრული მზაობის სისტემა“, - აღნიშნულია დოკუმენტში.

სკოლებში, კლასგარეშე სწავლების აუცილებელ კომპონენტად შემოღებული იქნება გარემოსდაცვითი განათლება და სკოლები აღიჭურვება საჭირო ინვენტარით. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინერგება კახეთის რეგიონისთვის აქტუალური სპეციალობების სწავლება: კლიმატოლოგია, მეტყევეობა, ეკოლოგია და გეოლოგია.

შრომა, ჯანდაცვა, განათლება

რაც შეეხება ჯანდაცვას, მოხდება ტუბერკულოზის და ცოფის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და პრევენცია. ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისკენ მიმართული პროგრამების ადეკვატური განფასება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ამბულატორიებს. სტაციონარული სექტორის ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის მოხდება საკონტრაქტო მექანიზმების დახვეწა და სპეციალისტ - ექიმებით უზრუნველყოფა.

მოხდება შრომის ბაზრის შესწავლა და მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა. თელავის უნივერსიტეტში, კაჭრეთისა და თელავის პროფსასწავლებლებში დაინერგება შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობები.

„გაძლიერდება პროფესიული სასწავლებლების მატერიალურ - ტექნიკური და სასწავლო ბაზა, კაჭრეთისა და თელავის პროფსასწავლებლები მოყვანილი იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. შედეგად, ახალგაზრდების მიერ მიღებული ცოდნა დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს“, - აღნიშნულია კახეთის განვითარების სტრატეგიაში.

რეგიონში გაგრძელდება სკოლების და საბავშვო ბაღების შენობების გარემონტება და ინვენტარით აღჭურვა. გაკეთდება ღონისძიებების განფასება, რომელიც საბავშვო ბაღებში კვების, სასწავლო პროგრამებისა და სანიტარულ - ჰიგიენური სტანდარტების შემოღებას ითვალისწინებს.

შესწავლილი იქნება ინკლუზიური სწავლების საჭიროებები, მოხდება ამ საჭიროებების განფასება და შემდგომი წლების ბიუჯეტში გათვალისწინება. შედეგად სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში შეიქმნება ინკლუზიური სწავლების პირობები და შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემოღება. მოხდება არაფორმალური განათლების ობიექტების მდგომარეობის შესწავლა. ჩატარდება ამ ობიექტების რეაბილიტაციისთვის საჭირო განფასება, მოხდება საჭიროებების ბიუჯეტში გათვალისწინება და შესაბამისი სამუშაოების შესრულება.

დემოგრაფიული მდგომარეობა

მიგრაციის შეჩერებით, შობადობის ხელშეწყობითა და ბავშვიანი ოჯახების დახმარებით, გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა.

„ჩატარდება შობადობის ზრდის შემაფერხებელი გარემოებების ანალიზი და შემუშავდება შობადობის ზრდისკენ მიმართული პოლიტიკა. მოხდება ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლა. ამის საფუძველზე განხორციელდება სერვისების განსაზღვრა, განფასება და ბიუჯეტში გათვალისწინება. ამ მიმართულებით შესაძლებელია სპეციალურ ორგანიზაციებთან და დონურებთან თანამშრომლობა“, - აღნიშნულია კახეთის განვითარების 2014 — 2021 წლების სტრატეგიაში.

მარგველაშვილი - 79,39% დედოფლისწყარო მეორე ადგილზე!

(პირველი გვერდიდან)

და ზეწოლის უამრავი ფაქტი დავაფიქსირე. მოსახლეობა ტერორის ქვეშ იყო! ახლა კი ხაზი მინდა გავუსვა, რომ ასეთი არცერთი ფაქტი არ დაგვიფიქსირებია. პირდაპირ რომ ვთქვა, ასეთი მშვიდი და სამართლიანი არჩევნები დედოფლისწყაროში მე არ მახსოვს," — განუცხადა გაზეთ „შირაქს" „სამართლიანი არჩევნების" გრძელვადიანმა დამკვირვებელმა ვენერა ქუსიკაშვილმა.

ქუსიკაშვილის განმარტებით, მონიტორინგს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდიდან ახორციელებდა.

ზვიად ჯავახიშვილი *(„ქართული ოცნების" დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე):* „საბოლოო ჯამში დედოფლისწყაროს ოლქის შედეგები საკმაოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს. ეს მნიშვნელოვანი წარმატება მინდა მივულოცო საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით დედოფლისწყაროელებს. ცხადია, გარკვეული მოლოდინები იყო და შედეგიც სახეზეა. საკმაოდ წარმატებული არჩევნები შედგა. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა ამომრჩეველს, რომელმაც ასეთი სიმშვიდით და აქტიურობით ჩაატარა კენჭისყრის პროცესი. შედეგები ნამდვილად თვალშისაცემია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე ბოლო დროს ბევრი სიკეთე წამოვიდა, მნიშვნელოვანი ძვრები იყო, ხალხმა ეს ყველაფერი დაინახა და შესაბამისი მხარდაჭერაც გამოხატა. შესაძლოა, მეორე ადგილს არ ველოდით, მაგრამ როგორც ჩანს წარმოუდგენელიც არ ყოფილა. ქვეყნის მასშტაბით მეორე ადგილი საკმაო წარმატება და დიდი პასუხისმგებლობაა, ამიტომ ყველა გახარებულია ამ მონაცემებით. საარჩევნო კამპანიას რაც შეეხება, საკმაოდ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, არანაირ ზეწოლას და ტერორს ადგილი არ ჰქონია. ეს მოსახლეობაზეც აისახა, მათ სახეებზეც იგრძნობოდა თავისუფალი ნება. განსაკუთრებით მინდა გამოვყო პოლიციის როლი ამ პროცესში. არჩევნების დღეს ერთ-ერთი პოლიციელი შემხვდა და მითხრა, რომ არჩევნების დროს, მუდმივად 2-3 თვე ტანჯვაში ვიყავით, ახლა კი ისე გადის არჩევნები, ვერაფერი ვიგრძენითო".

გიორგი ყოჩიაშვილი *(ლეიბორისტული პარტიის დედოფლისწყაროს კოორდინატორი):* „არჩევნები თავიდანვე არათანაბარ პირობებში დავიწყეთ. ხელისუფლებამ არ მოგვცა საშუალება ნორმალური არჩევნები ჩატარებულიყო. რაზეც სააკაშვილს ვედავებოდით, რომ უვარგისი საარჩევნო კოდექსი გვაქვს და უნდა შეცვლილიყო, არავინ გვისმინა. ახალმა ხელისუფლებამ ისიც დაამატა, რომ საარჩევნო უბნებზეც არ დაგვიშვეს. არც უფასო სარეკლამო დრო მოგვცეს. საერთოდ, მოსახლეობამ ერთი რამ უნდა დაიმახსოვროს, როდესაც პოლიტიკოსი ფულს ხარჯავს, ის აუცილებლად ეცდება შემდეგში ამ თანხის ამოღებას. როცა შალვა ნათელაშვილი იყო დედოფლისწყაროში ჩამოსული, მოსახლეობა არ გამოვიდა. მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ დედოფლისწყაროში მცხოვრებ მთიულებს არ უნდოდათ თავიანთი სისხლის და ხორცის, შალვა ნათელაშვილის ნახვა ამავე რაიონში. ალბათ აუკრძალეს ჩვენთან შეხვედრა. თუნდაც, აქვე ახლოსაა, ხევსურების უბანი, რომლებსაც წლებია, საცხოვრებელი სახლები ენგრევათ, დაუჯერებელია, ისინი არ გამოსულიყვნენ. ვერ წარმომიდგენია დედოფლისწყაროში, ძირძველ ქიზიყში, მარგველაშვილმა გაიმარჯვა და ნათელაშვილმა ვერა, ეს ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია. საერთოდ, წარმოუდგენელი რამაა, რადგან შალვა ნათელაშვილს ყველა იცნობს, როგორც კარგ მეოჯახეს, ვაჟკაცს პოლიტიკოსს და განათლებულ კაცს. მარგველაშვილზე კი ამბობენ, ახლა ისწავლისო! მოდით, სწავლა გააგრძელონ უნივერსიტეტებში და როდესაც ისწავლიან, მხოლოდ მას მერე მოინდომონ პოლიტიკაში მოსვლა. საქართველოში უკვე არიან ისეთი პოლიტიკოსები, რომელთაც ქვეყნის მართვა იციან და მათ უნდა ვაცადოთ."

ილია მარტყოფლიშვილი

ხალხური პოეზია

ერთი დიქტატორი ოქტომბრის
შემდეგ
სავარძელს სტოვებს და მიდის.
ამბობენ ამის შემდეგ ცხოვრება
იქნებაო
უფრო კარგი და მშვიდი.
უსამართლობა, შიში, შიმშილი
ყოველგვარ საზღვარს გასცდა,
აღარ ექნებათ ადამიანებს
სამუშაოს დაკარგვის განცდა.
შეწყდება ტაშისცემა
და მიტინგზე რბენა,
ბორკილებისგან განთავისუ-
ფლდება
აზრი, სიტყვა და ენა,
სხვისი ბრძანებით ვგლეჯდით
ჭინჭარს და ღოლოს,
დემოკრატიის შუქი გამოჩნდა
გვირაბის ბოლოს.
სიმართლემ გაიმარჯვა
ბოლოს და ბოლოს!

ნიკოლოზ წიკლაური

ჟურნალისტის ჩანაწერები

ფიქრები არჩევნების შემდეგ

კიდევ ერთმა არჩევნებმა გადაიარა. საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ვინ და როგორ ავირჩიეთ იგი?! სავარაუდოდ, მოსახლეობის 62% მას ნდობა გამოუცხადა. დედოფლისწყაროელებმა ნამეტნავად მოინდომეს და 79,39%-ით დაუსვეს ბეჭედი მის გაპრეზიდენტებას. კარგია, როცა ხალხის უმრავლესობა ერთ აზრზე დგას. ეს ნიშნავს, რომ არჩევანი სწორია. მით უმეტეს, თუ ამ უმრავლესობას არავინ აშინებს, ხმა, გინდა თუ არა, მავანს და მავანს მიეცო, არავინ ემუქრება სამსხურიდან განთავისუფლებით, არ ურიგებს 20-20 ლარსა



და თითო ბიდონ დიზელის საწვავს, ანუ არ მოისყიდის და გაჭირვების გამო ღირსებაშელახული ადამიანის მდგომარეობაში არ აყენებს, ან ტყუილი დაპირებებით გონებას არ ურევს და, რაც მთავარია, თვლა-ანგარიშის ცოდნას იმიტომ არ იყენებს, რომ გააყალბოს არჩევნები - დაატრიალოს კარუსელი, გადანეროს ოქმები და სხვა მრავალი ხრიკიც მოიგონოს ამომრჩევლის დასაბეჩავებელ-გასაცუცურაკებლად ისე, როგორც ეს წინა არჩევნებზე ხდებოდა. ასეთ მშვიდ და თავისუფალ გარემოში არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა.

- ნლებია, ჩემი შვილი საზღვრის დაცვის სამსახურშია, ფიზიკურად ჩვენს რაიონში არ არის, მაგრამ აქ ცხოვრობს. კვირას დილით ჩამოვიდა მეუღლესთან ერთად, ხმა განახორციელა და რამდენიმე საათში უკან გაბრუნდა, მორიგეობა მიწევსო. სხვა დროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხმა არ განუხორციელებია, სულ ნანილში მიჰქონდათ საარჩევნო ყუთი და აიძულებდნენ, ხმა სამთავრობო კანდიდატისთვის მიეცათ. ახლა ერთი სიტყვა არავის დასცდენია ამას და ამას მიეცით ხმაო, თქვენ ვინც ღირსეულად მიგაჩნიათ, იმას დაუჭირეთ მხარიო. ამან უფრო მეტი სიმპატიები გაგვიჩინა მთავრობის მიმართო, ამბობდა. მართალია, ხმა სამთავრობო კანდიდატისთვის არ მიგვიცია, მხარს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ვუჭერდით, მის შტაბში ვმუშაობდი და მის სასარგებლოდ აგიტაციას ვეწეოდი, ჩემთან არავინ მოსულა და არ უთქვამს, ამას ნუ აკეთებო, არ დამმუქრებია, შენს შვილს სამსახურიდან გამოვაგდებთ, თუ არ გაჩერდებიო. ახლა განსხვავებული აზრისთვის რისკზე წასვლა არ გვიხდებოდა, ისე როგორც ეს წინა არჩევნებზე ხდებოდა ხოლმე. ეს არის სწორედ თავისუფალი არჩევანი, მე კმაყოფილი დავრჩიო-თქვა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა თამილამ.

კარგია, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები რომ ჩატარდა, მაგრამ ყველა ამომრჩეველმა ისარგებლა ამ თავისუფლებით, ყველამ მოიხადა თავისი მოქალაქობრივი ვალი?! ამაზე ეს ციფრი მეტყველებს - 3.537.719 ამომრჩევლიდან მონაწილეობა მიიღო 1.661.037 ამომრჩეველმა. ანუ 46,96%-მა სად იყო დანარჩენი ხალხი?!

არჩევნების დღეს, დილით, ერთი ჩემი მეზობელი მეორეს შეეხმიანა, არჩევნებზე წამოხვალო. მან კი გულგრილად უპასუხა: – არა, ოხ, მეზარებაო. მესამე მეზობელიც გამოეხმაურა: რას ამბობ, მაგისი ერთი ხმა დააკლდება ქვეყანასო. გული მეტკინა. ისინი სამივე ინტელიგენტები არიან, მოსამსხურეები, უმაღლესი განათლებით, კარგი ოჯახის, კარგი მდგომარეობის პატრონები. არ მოველოდი, რადგან წინა არჩევნებზე ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ. მას მერე ვფიქრობ, რითი ავხსნა ეს განწყობა. იქნებ იმით რომ, მართლაც დარწმუნებულნი იყვნენ, პრეზიდენტი უკვე არჩეულიც არის და გადარჩეულიც, ჩვენ ვინ რას გვეკითხებაო. არადა, ჯერ დილაა, ხმის განხორციელება ახალი დაწყებულია. ვერ გამიგია, რატომ უნდა მსჯელობდეს ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც შვილს ელოდება, ასე არალოგიკურად, რატომ არ უნდა იყოს დაინტერესებული თავისი და თავისი შვილების მომავლის არჩევანით. რატომ ვერ უნდა აცნობიერებოდეს, რომ სწორედ თავისი მიუსვლელობით, ურწმუნოებით და უპასუხისმგებლობით ჰქმნის არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას, რატომ ვერ უნდა ხვდებოდეს, რომ მის მიერ განხორციელებულ არჩევანს ველარავინ შეცვლის. სამწუხაროდ, მოქალაქობრივი ვალდებულება ჩვენს საზოგადოებაში ჯერ საკმაოდ დაბალია, ჯერ კიდევ ვერ გაგვითავისებია, რომ თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული ჩვენივე მომავალი. დროა, ვიფიქროთ ამაზე!

ნაირა გორაშვილი

ილიასთან ვერვინ მოვა

„შირაქის" ფოსტა



გაზეთმა „ შირაქმა" ოცდაოთხი ოქტომბრის ნომერში დაბეჭდა ლალი მეხრიშვილის ინტერვიუ ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორთან, პროფესორ ცაცა ბენაშვილთან.

ამ ინტერვიუს სათაურია „ივანიშვილი იყო, არის და იქნება ქართველი ხალხის გვერდით."

რა თქმა უნდა, ეს არ არის სადაო და საკამათო, რადგან თვითონ ბატონმა ბიძინამ არაერთხელ თქვა და განაცხადა, რომ ის მუდამ იქნება ქართველი ხალხის გვერდით და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანა სწორ, ევროპულ გზას დაადგეს და ხალხმა ნორმალურად იცხოვროს.

ამ ვრცელ ინტერვიუში კორესპონდენტის კითხვაზე –"ივანიშვილს ილია ჭავჭავაძეს ადარებენ, ამაზე რას იტყოდით?"! ქალბატონი ცაცა ვრცლად პასუხობს და ამბობს, რომ „მას (ბიძინას) ილიას მსგავსად სტკივა საქართველო... მან(ბიძინამ) სასწორზე შეაგდო თავისი სიცოცხლე საქართველოს და ქართველი ხალხის გამო, აი ამიტომ ადარებენ მას ილიას! ამიტომ ხედავენ მასში ერის კაცს!"

ერის კაცი და დიდი მამულიშვილი რომ არის ბიძინა, ეს არ არის სადაო. საკამათოა ის აზრი, რომ ის ერის მამასილიას გავუტოლოთ. ეს ვინც უნდა იმან თქვას, სწავლულმა თუ ბრძენთა- ბრძენმა, არამართებულია.

ილიას სიდიადეზე გალაკტიონის სიტყვებს შევახსენებ მკითხველს. „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ დამთავრდა ეპოქა დიდი."

რამდენიმე წლის წინ გამოკითხვაში, თუ ვინ იყო ყველაზე დიდი ქართველი, აქაც პირველობდა ილია.

არ შეიძლება არ გავიხსენო ამ ორი ათეული წლის წინანდელი ამბავი, როცა ბატონ ზვიად გამსახურდიას უმღეროდნენ „ზვიადი საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო."

ეს იყო პროვინციალობისა და მლიქვნელობის დემონსტრირება.

დარწმუნებული ვარ, დიდი პატრიოტი და მამულიშვილი ზვიადიც თავის მიმართ ასეთ თაყვანისცემას არ იზიარებდა, მაგრამ...

ბატონმა ბიძინამ რაც გააკეთა და აკეთებს, ეს ნამდვილად გმირობისა და დიდი მამულიშვილობის გამოვლენაა, დასაფასებელია, ამას ხედავს და მომავალში უფრო თვალსაჩინოდ დაინახავს ხალხი, დრო და ისტორიაც ღირსეულად შეაფასებს მის ღვაწლს, მაგრამ ილიასთან გატოლება მისთვისაც უხერხულია.

ჯუმბერ უთრუთაშვილი

ახალი ანსამბლი - ახლებური ხედვით

ის, რომ ბოლო დროს ჩვენს რაიონში კულტურული ცხოვრება გამოცოცხლდა და მკვეთრი პროგრესი შეინიშნება, ალბათ, ჩვენი საზოგადოებაც ხედავს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს დედოფლისწყაროში მაღალ დონეზე ჩატარდა 26 მაისის დღესასწაული, რომელიც მკვეთრად განსხვავებული გახლდათ სხვა დროს ჩატარებული 26 მაისის ღონისძიებებისგან, ბრწყინვალედ წარიმართა ფიროსმანობა, რომელსაც ასევე განსხვავებული ხელწერა ეტყობოდა, ჩატარდა არაერთი საქველმოქმედო საღამო, სადაც ხალხურ მომღერალთა ანსამბლები და ცნობილი სახეები მონაწილეობდნენ, გრანდიოზულად აღინიშნა ელიაობის დღესასწაული, დაარსდა ახალი კულტურული დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“, შედგა მწერალ ჯემალ მეხრიშვილის საღამო... ამ ყველაფერთან ერთად შეუმჩნეველი არ დაგვრჩა ის, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩნდა სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლთან არსებული ქალ მომღერალთა გუნდი, რომელთა შემოქმედება სრულიად ახალი სიტყვაა რაიონის ფოლკლორული ანსამბლების ისტორიაში.

სცენაზე გამოსვლის პირველივე მცდელობაზე, მომღერალ ქალთა ჯერ კიდევ უსახელო ანსამბლმა მაყურებლის ყურადღება და ოვაცია დაიმსახურა. გაზეთი „შირაქი“ ამ ანსამბლის რიგით სამუშაო დღეს სოფელ სამრეკლოში დაესწრო და მათი ერთი დღე შეისწავლა.

სამრეკლოს კულტურის სახლიდან სასიამოვნო ხმები ისმის, მოსახლეობას თუ დავეკითხებით, წლებია, ამ შენობიდან სიმღერის ხმა აღარ გაუგონიათ, ხალხს ერთგვარი სიხარულის განცდა აქვს დაუფლებული, უხარიათ, რომ წლების მანძილზე სოფლის მიყრუებული კულტურის სახლიდან ახლა სასიამოვნო ჰანგები გამოდის. ანსამბლის ხელმძღვანელი ბატონი გაიოზ ხუციშვილია, რომელიც სულ რამდენიმე თვეა, სამრეკლოს კულტურის სახლის დირექტორად დაინიშნა. სწორედ მისი ინიციატივითა და უანგარო შრომის შედეგად შეიქმნა ეს ლამაზი კოლექტივი, რომლისთვისაც, სავარაუდოდ, სახელი „სამრეკლო“ შეურჩევიათ, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ანსამბლის სახელწოდებაზე ხელმძღვანელობასთან ჯერ არ უსაუბრია და, ამდენად, საბოლოო ვარიანტზე არ შეჯერებულან.

- „ზაფხულში სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლის დირექტორად დამნიშნეს, ქალთა ანსამბლის იდეა თავდაპირველად აქ დამხვედრი თანამშრომლების ხმის მოსმენისას გამიჩნდა, შემდეგ მეც ვცადე მათთან სიმღერა და კარგად აგვეწყო, ამ ქალბატონებმა ამიხსნეს, რომ სამრეკლოს სერაფიმე საროველის ტაძარში რამდენიმე ქალთან ერთად წირვა-ლოცვებზე გალობდნენ, ვთხოვე, მოეყვანათ ის ქალბატონებიც, ყველა სიხარულით მოვიდა, ასე დავიწყეთ ანსამბლის ჩამოყალიბება, ზოგიერთი სოფელში მცხოვრები დიასახლისიც კი გამოვიდა სახლიდან და ჩვენ შემოგვიერთდა, ბევრი მათგანი სამსახურთან შეთავსებით ცდილობს მხარი აგვიბას. ყველა მათგანმა თავად გამოთქვა სიმღერის სურვილი, ასე შევკრიბე ლამაზი ხმები და დღეს უკვე თორმეტი ქალისგან შემდგარი გუნდი მყავს. თავდაპირველად ინსტრუმენტები გვიჭირდა, მაგრამ შინაურულ პირობებში ყველამ გამოიტანა პირადი ფანდურები, თავდაპირველად ოთხი ფანდური გვქონდა, მერე ორი ბასფანდურიც დავამატეთ, ჯერ მხოლოდ სამი თვეა, რაც დავიწყეთ და უკვე ოცდახუთი სიმღერა გვაქვს დამუშავებული, ვცდილობთ, ჩვენი მეცადინეობით იმ დონემდე მივიდეთ, რომ თამამად დავიპყროთ ნებისმიერი რეგიონალური თუ საქართველოს მასშტაბის სცენა.“ - ამბობს გაიოზ ხუციშვილი.

მკითხველის საყურადღებოდ:

- ბატონი გაიოზ ხუციშვილი 2004 წლიდან რაიონის კულტურის სახლთან არსებულ ვაჟთა მომღერალ გუნდ „ხორნაბუჯში“ მღერის და მისთვის სცენის მტვერი უცხო არ გახლავთ.-„პროფესიით საქონელმცოდნე ვარ, ჩემი პროფესიულ სიმღერასთან ზიარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდს უკავშირდება, ამ წლებში მე უნივერსიტეტის კაპელაში თემურ ქვევხიშვილის ხელმძღვანელობით ვმღეროდი. სწორედ მას მიუძღვის დიდი წვლილი, რომ მე ქართული ხალხური სიმღერა შემიყვარდა. ჩემი შემდგომი წლები სამხედრო საქმიანობას უკავშირდება, ვარ გადამდგარი მაიორი, იქედან წამოსვლის შემდეგ რაიონის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩავერთე და ანსამბლ „ხორნაბუჯთან“ ერთად წლებია, ვდგავარ სცენაზე.“

- გვიყვება ბატონი გაიოზი.

დღეისათვის სამრეკლოს კულტურის სახლთან არსებულ ქალთა მომღერალ გუნდს თავად ბატონი გაიოზი ხელმძღვანელობს, დამუშავებული და შესწავლილი აქვთ ოცდახუთამდე ხალხურ-ფოლკლორული სიმღერა. სიამოვნებით მოვისმინე მათ მიერ შესრულებული „პირიმზის ყვავილმა“, „ნეტავი გოგო მე და შენ“, „ანანურიდან მოგდევ ნისლივით“, „ქალებს ჩაუბამთ ფერხული“, „ქალო ნარინჯიანო“, „ცელო მოუსვი ბალახსა“, ზოგი იგეთი ქალია“, „სულიკო“, „ცანგალა და გოგონა“, „მეგრული ნანინა“ და სხვა. ეს იმ სიმღერების ჩამონათვალია, რაც ჩვენი სტუმრობისას გაიმეორეს და კიდევ ერთხელ დაამუშავეს ქალბატონებმა. სიმღერები შეასრულეს გიტარის თანხლებითაც.

ანსამბლს მუშაობა ძალიან მძიმე პირობებში უწევს, თუმცა შემართება იმდენად ძლიერია, რომ ამასაც უძლებენ მომღერალი ქალბატონები, უპირველესად დედები, რომელთაგან ორი ბებიაც კი ყოფილა. ქალბატონები მზია წყარუაშვილი, მაკა პაპუაშვილი, დონარა დათუკიშვილი, გურანდა ბოსტოღანაშვილი, ლია პოპიაშვილი, ნატო ჩიბუხაშვილი, მაკა კვანჭილაშვილი, მზია ყოჩიაშვილი, ნანა უძილაური, ესმა ჭყონია, ხატია ჯინაშვილი, სწორედ ისინი არიან, ვინც თავდაპირველი საფუძველი ჩაუყარა ამ ლამაზი და საშვილიშვილო საქმის წამოწყებას. სწორედ მათი დიდი დამსახურებაა, რომ მომღერალ ქალთა გუნდი გამოჩნდა, რომლებიც ქართულ ხალხურ სიმღერას აახმიანებენ ჩვენს და არამარტო ჩვენს სცენაზე.

- „აქ სიმღერის სიყვარულმა მომიყვანა, ბავშვობიდან ვმღერი და ძალიან მიყვარს სიმღერა, ჩემი ახალი საქმე თითქოს განმუხტვაა ჩემთვის, მამშვიდებს და სიამოვნებას მანიჭებს. თანაც ჩემი ნამვილი გვარი მგალობლიშვილია, ჩემი წინაპრები მგალობლიშვილები ყოფილან, ერთხელ მეფე ერეკლეს თავისთან დაუბარებია და რაღაც საქმე დაუვალებია, ჩემი წინაპარი გაჯინიანებულა, მაშინ მეფე ერეკლეს უთქვამს, შენ მგალობლიშვილი კი არა, დღეიდან ჯინაშვილი იქნებიო. ასე მოვინათლეთ მგალობლიშვილები ჯინაშვილებად, თუმცა ის, რომ გვარში კარგად ვმღეროდით და სიმღერა ჩვენს სულიერებასთან ახლოსაა, ამას ჩემი მოქმედებაც მეტყველებს, აქაც ვარ და იცით თქვენ, რომ წლებია ეკლესიაშიც ვგალობ. ამ მხრივაც ძალიან ბედნიერი ვარ!”-ამბობს ხატია ჯინაშვილი.

როგორც მათი ხელმძღვანელი ბატონი გაიოზი აცხადებს, გუნდში არიან ქალები, რომლებსაც ძალიან ლამაზი და იშვიათი ხმა აქვთ, რაც მთლიანი გუნდის სამხმოვან სიმღერას მოსასმენად მომხიბვლელს და ამავდროულად გამორჩეულს ხდის. ამჯერად ბატონ გაიოზს ამჯერად სალამურის ელემენტის შეტანა აქვს ჩაფიქრებული ანსამბლში და არის სოლისტის ძიებაში.—„ძალიან მინდა, სალამურის დამკვრელი, თუნდაც ერთი პატარა ბიჭი მოვძებნო, რომელიც ანსამბლს სოლისტობასაც გაუწევს და უფრო გაამრავალფეროვნებს ჩვენს რეპერტუარს, რადგან ჩვენ არ გვინდა ერთ ადგილზე გავჩერდეთ, პირიქით ვემზადებით სერიოზული განაცხადისთვის.“- აცხადებს იგი.

ერთადერთი, რაც ახლადჩამოყალიბებული ანსამბლის მუშაობას აკლია, პირობების შექმნაა, რომელსაც როგორც გავიგეთ, ხელმძღვანელობის მორალური გვერდში დგომა და გულშემატკივრობა არ აკლია, თუმცა, ცხადია, ამ საქმეს ფინანსურად ზურგის გამაგრებაც სჭირდება.-„მოსვლისთანავე ისეთი გარემო დამხვდა, რომ კედლებში ამოსული ხეები ჩემი ხელით დავჭერი, რაიონის სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი ნინო ბახუტაშვილი ყველანაირად გვერდში მიდგას და ხელშეწყობას არ მაკლებს, მაგრამ უსახსრობის გამო კვლავ უამრავი პრობლემის წინაშე ვდგავართ. შენობას არ ჰყავს დარაჯი, არც დამლაგებელი, რომელიც დაასუფთავებს აქაურობას, ეზოს, ოთახებს. გარდა ამისა, ანსამბლის ქალები უხელფასოდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ სიმღერის სიყვარულით შრომობენ. იმედს გამოვთქვამ, მათთვისაც მოიძებნება თანხები. დაპირება არის, რომ ინსტრუმენტებსაც შეგვიძენენ და მპირდებიან ფორმების შეკერვა-შეძენასაც. ღირსეულნი რომ ვართ, ამას ჩვენი საქმით დავანახებთ ყველას, დანარჩენი ხალხმა განსაჯოს. ფაქტია, რომ სამრეკლოს კულტურის სახლი გამოცოცხლდა, ამას ხალხიც ამჩნევს, უფრო მეტის გაკეთება მსურს, მინდა ცეკვის და ხატვის წრეებიც გავხსნა, გეგმები და იდეები არ მაკლია, თუმცა თქვენც კარგად იცით, შტატების დაშვებისა და ფინანსური ანაზღაურების გარეშე არცერთი მასწავლებელი არ წამოვა თანხმობაზე.“

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს და ჩვენი შემოქმედების რეალიზებას, ანსამბლს დაგეგმილი აქვს ტურნეები, სურვილი აქვთ, რომ კახეთის მასშტაბით მოაწყონ ტურნე. არც იმას გამორიცხავენ, რომ უცხოელ სტუმრებს და კახეთში ჩამოსულ ტურისტებს სუფრებზე და შეხვედრებზე უმასპინძლონ და საკუთარი სიმღერით ერთგვარი სიამოვნება მიანიჭონ.

ვინც ახლადჩამოყალიბებულ ქალთა ანსამბლს მოუსმენს, ნამდვილედ მიხვდება, რომ ისინი ჭეშმარიტად ღირსეულნი არიან და სათანადო დაფასება სჭირდებათ, რაც ისევ და ისევ ჩვენი რაიონის კულტურულ ცხოვრებას წასწევს წინ, მოგვანიჭებს უპირატესობას. ვიმედოვნებ, რომ ახლადშექმნილ ანსამბლს რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა არ მოაკლდება.

ლალი მეხრიშვილი

სიახლისადმი ინტერესიც და ტრადიციების ერთგულებაც

ელიის ტყე... ჰაერში შემოდგომის სურნელი ტრიალებს, დედამიწას ხმელი, გაყვითლებული ფოთლები ხალიჩასავით გადაჰფენია, ისმის ჩიტების გალობაც, გავარვარებული ნაკვერჩხალი შამფურზე აბნეული სამწვადის მოლოდინშია,ზედადგარზე შემოდგმულ ქვაბში რა ხანია თათარა თუხთუხებს. N1 საჯარო სკოლის II ბ კლასის მოსწავლეები კი კლასის ხელმძღვანელ ქეთინო დავითაშვილთან ერთად საზეიმოდ არიან განწყობილნი, თითოეულს ხელში ძაფზე აბნეული ნიგოზი უჭირავს და მოუთმენლად ელის ზეიმის დამთავრებას, რომ „ნამდვილი ზეიმი“ -თათარაობა დაიწყოს. ყველაფერს თავისი ტრადიცია აქვს და შემოდგომის ზეიმის ეს ტრადიციაც ჩვენს სკოლაში უკვე თაობიდან თაობას გადაეცემა. ეს არ არის მხოლოდ „ზეიმი ზეიმისათვის“, ეს არის ის ადათ-წესები, რომელსაც მოფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება, რომელზეც უნდა აღიზარდონ მომავალი თაობები.

ბოლო წლებში ძალიან მოდური გახდა „ალა-ფურშეტი“, „ლანჩი“, დაბადების დღეების თუ სხვა სადღესასწაულო წვეულებების საბანკეტო დარბაზებში გადახდა, ამით კი ნელ-ნელა ხელიდან გვეცლება ქართული სუფრის ის სიკეთეები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ჭერქვეშ შეიძლება წარმოჩინდეს. ასე მოიყრიდნენ ხოლმე თავს ჩვენი მამა-პაპანი ქართულ სუფრასთან და შინაური, ნამდვილი ღვინით გათენებამდე ერთად, ტკბილად, ხან ჭუკჭუკით, ხან ხმამაღალი სადღეგრძელოებითა და ცეკვა-სიმღერით იქცევდნენ თავს.

ოქტომბრის ამ ერთ მშვენიერ დღესაც ერთად თავმოყრილი პატარები მაგიდასთან ჯდომის წესებს ეჩვევიან, იმ წესებს, რომლითაც მერე, ცხოვრებაში ერთმანეთი უნდა გაიტანონ. თანაკლასელი ხომ მხოლოდ ერთ მერხთან ჯდომას და ერთად გაკვეთილების სწავლას არ ნიშნავს!

ჩვენს კლასს, რომელიც ქეთინო მასწავლებლის მხრიდან სულ ყურადღების ცენტრშია და მშობლები სულ ერთ გუნდად ჰყავს შეკრული, ჰყავს ერთი ბებია -გულნაზი გაჩეჩილაძე, რომელიც მხოლოდ ლალიანა უთრუთაშვილის ბებია კი არა, მთელი კლასის ბებიაა, ყველა ღონისძიებაზე სულ თან დაგვყვება და 23 ბავშვს ისე პატრონობს, როგორც საკუთარს. ეს, ალბათ, განსაკუთრებული შემთხვევაა, მაშინ როდესაც „ძიძების ინსტიტუტმა“ ლამის ჩაანაცვლოს ბებიები. ჩვენი გულიკო ბებია ბავშვებს და მშობლებს გვაძლევს იმის საშუალებას, ვიმხიარულოთ, სუფრასთან მოვილხინოთ და თამაშითაც გული იჯერონ ბავშვებმა, ისინი აღტაცებულები შეჰყურებენ გულიკო ბებიას და ზოგიერთ მათგანს, რომელსაც არ ჰყავს ან ძალიან შორს ჰყავს ბებია, ვერ წარმოუდგენია „დამალობანას“, „მატარებლობანას“ და სხვა თამაშებს ასე ბებია ეთამაშებოდეთ, მათთან ერთად დარბოდეს, დახტოდეს, იმალებოდეს და, რაც მთავარია, არ იღლებოდეს!

ვფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში, დადგა დრო, ყველამ ერთად ვიფიქროთ ჩვენი სამშობლოს ფასდაუდებელი ტრადიციების აღდგენაზე, შემდეგ ამ ძველი და ახალი ტრადიციების ერთ შესაბამისობაში მოყვანაზე, ისე რომ, არც ძველმა დაკარგოს „სიძველის სუნი“ და არც ახალმა სიახლისადმი ინტერესი.

ელზა ხარაშვილი

პატარა ინტელექტუალების სამყაროში

31 ოქტომბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დირექტორის - ირმა ბენაშვილის ინიციატივით ჩატარდა ღონისძიება „პატარა ინტელექტუალი“. მასში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს ყველა საჯარო სკოლის და სამრეკლოს სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები.

მოსწავლეებს შორის შეჯიბრი სამ ტურში გაიმართა, თითოეულ ტურში სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის კითხვა იყო დასმული. ბავშვებთან მოსამზადებელ ეტაპზე მუშაობა აწარმოა ქართული ენა - ლიტერატურის მასწავლებელმა და ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელმა თამარ ლაპიაშვილმა. ხალისიან და შთამბეჭდავ გარემოში მიმდინერეობდა ღონისძიება, ისმოდა მეგობრების გამამხნევებელი შეძახილები.

ყველაზე მაღალი შეფასება ხორნაბუჯის საჯარო სკოლის გუნდმა“ ლომებმა“ მიიღო-ის 20 ქულით I ადგილზე გავიდა, მეორე ადგილი 18 ქულით N1 საჯარო სკოლის გუნდმა „იმედმა“ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი- N2 საჯარო სკოლის გუნდი“მერცხალი“ გახდა. სამივე ტურის დასრულების შემდეგ „ყველაზე ნიჭიერის“ გამოსავლენად გუნდის კაპიტნებს შორის შეჯიბრი გაიმართა, სადაც პირველი ადგილი N2 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელმა - გიორგი წიკლაურმა დაიკავა.

როგორც მოსწავლეახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელმა -ირმა ბენაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, პატარებისათვის ასეთი წამახალისებელი და ინტელექტუალური ცოდნის მიმცემი ღონისძიებები სულ მალე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ჩატარდება და მას სისტემატური ხასიათი მიეცემა, რაც ხელს შეუწყობს ქალაქისა და სოფლის სკოლების მოსწავლე ახალგაზრდებს შორის არა მხოლოდ ერთმანეთის უკეთ გაცნობას და დაახლოებას, არამედ, მათთვის საკონკურსო გარემოს შექმნას და მომავალი თაობების სასწავლო დონის ამაღლებას.

ელზა ხარაშვილი

მშვიდობით იარაღო! ანუ საქართველოს „გრძელი, ნათელი დღეები“

ჩვენს ყოველდღიურობაში ბლოგების წერა თითქმის ისეთივე აქტუალური გახდა, როგორც მათი კითხვა. თანამედროვე საუკუნეში ბლოგების კითხვა სწორედ რომ შესანიშნავ თავშესაქცევად და, რაც მთავარია, მოდურ მანერად იქცა.

ვცდილობ, მოდური ვიყო, ეს ნახევრად იუმორით, ჰოდა, ერთ ჩვეულებრივ დღეს „რადიო თავისუფლების“ ჯერ ნაუკითავი ბლოგების თვალიერება დავიწყე. გიორგი გვახარიას ახალმა ბლოგმა ჰემინგუეის სათაურით „მშვიდობით იარაღო!“ მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. კითხვის დასაწყისშივე მივხვდი, რომ ბლოგი ახალ ქართულ ფილმს ეხებოდა, კითხვა შევწვიტე და მეგობარი კინოში დავპატიჟე.

აქვე გეტყვით, რომ ასეთ ეპატაჟურ გარემოში სიარული, ფილმის პრემიერიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემთვის დამღლელია, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ამიტომ ხალხმრავლობის შიში დავივიწყე და კინოდარბაზთან ოცწუთიანი ლოდინიც მოთმინებით ავიტანე.

კინოჩვენების დაწყებამდე „ბედნიერი ჩვენება“ გვისურვეს, ცოტა უჩვეულო სურვილი იყო და როგორც ყველაფერ ოდნავ უჩვეულოს, ამ სურვილსაც დარბაზში სიცილი მოჰყვა, მოკლედ, ქართული ანტურაჟი სუფევდა. მალე ჩურჩული, სიცილი და გადაძახილი მიწყდა და ჩვენებაც დაიწყო..

ჩვენება ნამდვილად ბედნიერი გამოდგა, ოღონდ არა თავად კინოსურათის ბედნიერი სიუჟეტის გამო. ჩემი აზრით, რამდენიმე დღის წინ ერთმა ჩემმა მეგობარმა სრულიად გადაუჭარბებლად, ფილმი შეაფასა, როგორც მომაკვდავი „ქართული კინოს“ გაცოცხლება.

ეს მართლაც გაცოცხლებაა და არა გამოფხიზლება! 90-იანებზე ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ქართული ფილმი გადაიღეს. ჩემზე, როგორც რიგით მაყურებელზე, ემოციურად ყველამ იმოქმედა ნაწილობრივ, მაგრამ ასეთი ნამდვილი, დიალოგებით გადაუტვირთავი სიუჟეტი არ მინახავს.

დღემდე გადაღებულ ყველა ფილმში ქვეყნის იმდროინდელი ზრდასრული საზოგადოება ერთგვარი მსხვერპლის როლში გვევლინებოდა, „დაკარგული თაობა“, რომლისთვისაც ყველაფერი უპირობოდ უნდა გეპატიებინა, ყოველგვარი განსჯის, ანალიზის გარეშე, შეგცოდებოდა, ცრემლები გელვარა და ფიქრიც ამით მთავრდებოდა.. „ქუჩის დღეებს“ ნახავდი და იფიქრებდი, რა ბიჭები დაიღუპნენო და ყველაფერს „ბედის უკუღმართობას“, „უსამართლო განგებას“ ან რუსულ ჩექმას დააბრალებდი და ასე, უკვე ათწლეულებია, ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელსაც არათუ პასუხისმგებლობის აღება, დაფიქრებაც არ სურს წარსულზე და ინერციულად, ღრმად სწამს საკუთარი შენირულობის.

საკითხავია, სჯერა თუ უსუსურობის, უნიათობის აღიარების რცხვენია შთამომავლობის წინაშე? იქნებ ჩვენმა მშობლებმა მშვენივრად იციან, რომ „ცრუ გმირებსა“ და წარმოდგენებს უდგამედნენ ტახტს. იქნებ იციან, რომ მათი ნილი პასუხისმგებლობა არავინ იკისრა, იქნებ ხვდებიან, რომ ყველა, ვინც ომში წავიდა, არ უბრძოლია.

ვინ იცის, იქნებ ქართველმა ქალებმა მშვენივრად იციან, რომ კაცების ძალადობას ეგუებიან და ამით შვილების გადარჩენას კი არ ცდილობენ, პირიქით - ცუდ მაგალითს აძლევენ მათ, მაგრამ, უბრალოდ, სხვაგვარად არ შეუძლიათ, იმიტომ რომ კონფორმიზმის, გულგრილობის მძიმე სენითაა დაავადებული ჩვენი საზოგადოება, „არჩათრეული“, „ჩაყოლილი“ უბრძოლველობისა და გაუთავებელი უკმაყოფილების კვალდაკვალ ტელეეკრანებიდან მუდმივად ისმის საუბარი სამოქალაქო საზოგადოების როლსა თუ პასუხისმგებლობაზე, შემწყნარებლობასა თუ ჰუმანიზმზე, ინდივიდის თვითშეგნების ამაღლებაზე.

თუკი ამ ყველაფერზე ადამიანურად და არაპოლიტიკურად დაფიქრებას გადაწყვეტთ, აუცილებლად ნახეთ ნანა ექვთიმიშვილისა და საიმონ გროსის „გრძელი, ნათელი დღეები“, საერთაშორისო სახელწოდებით „In Bloom“, რომელსაც არაერთ პრესტიჟულ კინოფესტივალებზე აღებული პრიზების შემდგომ წინ ბერლინალეს კინოფესტივალი და ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოვება აქვს.

ზემოთ უპირობოდ პატიებაზე კრიტიკულად ვისაუბრე და დავძენ, რომ პატიების გარეშე წარმოუდგენელია რაიმე ახლის დაწყება. შეცდომების გაანალიზება სულაც არ ნიშნავს საყვედურსა და ქილიკს. სწორედ ამიტომ მივიდა ფილმის გმირი ეკა პატიმარი მამის სანახავად მხოლოდ მას შემდეგ, რაც აპატია.

დიდხანს ვფიქრობდი, თუ რატომ ჰქვია ჩაბნელებულ, უპურო ეპოქას გრძელი, ნათელი დღეები. ფილმის სათაური პარადოქსულიცაა და ლოგიკურიც, ვინაიდან ასეთი დღეები მეხსიერებაში დიდხანს, ნათლად რჩება და რაც მთავარია, ნათელი ანალიზი სჭირდება.

ნათელი მომავლის სურვილით,
სალომე ნატროშვილი

ხორნაბუჯის ციხესთან მოზარდები ველზე ქცევის წესებს გაეცნენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესის“ ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფის ორგანიზებით, ხორნაბუჯის ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე, დედოფლისწყაროს სკოლების მოსწავლეებისთვის ღონისძიება მოეწყო, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისთვის ველზე ქცევის წესების გაცნობას. ღონისძიებაში მონაწილეობდა 9 მოსწავლე, რომლებსაც რეაგირების ჯგუფის წევრები ადამიანისა და მტაცებლის კონფლიქტზე, ე.წ. პრობლემურ სახეობებზე ესაუბრნენ.

ღონისძიების პროგრამაში შედიოდა მოკლე სწავლება შემდეგ თემებზე: ლაშქრობისთვის ადგილის შერჩევა და მომზადება; საბანაკე ადგილის შერჩევა და კარვის გაშლა; ველზე ორიენტირება ტრადიციული ხერხებით; რუკა და მისი კითხვა; პერსონალური ნავიგატორის (GPS) მოხმარება;

სწავლების შემდეგ მოეწყო შეჯიბრი კარვების გაშლაში და პერსონალური ნავიგატორის საშუალებით წინასწარ მოწყობილი სამალავების აღმოჩენა, სადაც მონაწილეებს საჩუქრად — სამწვადე ელოდათ. კარვის დაკეცვისას გარეთ დარჩენილი თასმის გამო „ორბებმა“ 1 ქულა დაკარგეს.

გუნდებმა დავალებას წარმატებით გაართვეს თავი და სადილად დამოუკიდებლად მოპოვებული და მომზადებული მწვადი მიირთვეს.

ღონისძიება დაიგეგმა საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სახეობათა კონსერვაციის ცენტრი — ნაკრესი, აკაციის კონსერვაციული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ამერიკის ხელისუფლების საჩუქარი დედოფლისწყაროს

26 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პოლიკლინიკაში სამი კონტეინერი სამედიცინო აპარატურა დასაწყობდა. ინვენტარი ჩვენს მუნიციპალიტეტს ამერიკის ხელისუფლებამ საჩუქრად გადასცა. მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით უახლოეს დღეებში საჩუქარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიეტის სამედიცინო დაწესებულებებს საჭიროებისამებრ გადაუნაწილდება.

ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი რაიონი ამერიკის ხელისუფლებისგან კიდევ 5 კონტეინერ სამედიცინო აპარატურას მიიღებს.

დაზოგვის კვირეული, ანუ „ქართველი ერი ერთ-ერთი ყველაზე მხარჯველი ერია“

საქართველოში მსოფლიო დაზოგვის დღე აღინიშნება. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მსოფლიო დაზოგვის დღეს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები წელს უკვე მეორედ აღნიშნავენ.

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ დაზოგვის კვირეულის გახსნასთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ქართველი ერი ერთ-ერთი ყველაზე მხარჯველი ერია.

მისი თქმით, ყველაფერი მარტივად იწყება, როდესაც მომხმარებელი განვადებით იძენს ძვირადღირებულ ტელეფონს, რასაც შემდგომ საკრედიტო ბარათი ემატება.

“ამას შემდგომ ემატება ერთ დღეში სესხის დამტკიცების და ზაფხულში შვებულების კარგად გატარების შეთავაზება. შემდეგ მომხმარებელი იღებს მეორე საკრედიტო ბარათს, იმისთვის, რომ გადაფაროს პირველი და საბოლოო ჯამში, აღმოაჩენს, რომ რამდენიმე საკრედიტო ბარათი და რამდენიმე სესხი აქვს, რაც საკმაოდ ძვირადღირებულია. გამოსავლის ძიებაში ასეთი ტიპის მომხმარებელი ყველა სხვა სესხის გადასაფარად იღებს დიდ სესხს და იპოთეკით ტვირთავს უძრავ ქონებას. ამას მარტივად შეგვიძლია დავარქვათ საკრედიტო მახე, რაც მსოფლიოში გავრცელებული პრობლემაა”, - განაცხადა ქადაგიძემ.

მისი თქმით, განვითარებული სამყარო ამ პრობლემას განათლების ამაღლებით და მომხმარებლის მაქსიმალური ინფორმირებულობით ებრძვის.

“მხოლოდ ინფორმირებული მომხმარებელი იღებს სწორ გადაწყვეტილებას და არის სასარგებლო როგორც კომერციულიო ბანკის, ისე საკუთარი თავისთვის. ამ მიმართულებით კმაყოფილი ვარ იმ თანამშრომლობის დონით, რომელიც გვაქვს კომერციულ ბანკებთან. ერთი მხრივ, კომერციული ბანკის უპირველესი ვალდებულოებაა კეთილსინდისიერად მოემსახუროს მომხმარებელს, მაგრამ მომხმარებელიც ვალდებულია, პასუხისმგებლობა აიღოს მიღებულ გადაწყვეტილებებზე, კარგად წაიკითხოს ხელშეკრულება და კარგად დაგეგმოს საკუთარი ფინანსური რესურსი”, - აღნიშნა ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ დაზოგვის კვირეულის ფარგლებში განხორციელებული კამპანია წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ფინანსური ინფორმირებულობის ამაღლების კუთხით.

დაზოგვის კვირეული 8 ნოემბერს - ბანკირის დღეს დასრულდება.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან ქართული კომერციული ბანკები, შემნახველი ბანკების ფონდი - საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ბანკების ასოციაცია და საქართველოს საბანკო ტრენინგ ცენტრი.

“დანაზოგები მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის, ფინანსური ინსტიტუტებისა და მოსახლეობისთვის - დანაზოგები წარმოადგენს ფინანსური ინვესტიციებისთვის ხელმისაწვდომ რესურსს, დანაზოგების გარეშე სტაბილური ეკონომიკური ზრდა არ იქნება. დანაზოგები ბანკებისთვის რეფინანსირების მნიშვნელოვანი წყაროა და ბოლოს, დანაზოგები წარმოქმნიან ინსტრუმენტს, რომელიც ავადმყოფობასთან, უმუშევრობასთან და სხვა ეკონომიკურ სირთულეებთან დაკავშირებული რისკებისაგან გვიცავს. უმჯობესია, ხალხმა სურვილების ასრულებისას ისარგებლოს დანაზოგით, ვიდრე აუცილებლობისთვის გამოტანილი სესხების გამო ზედმეტი ვალების რისკის წინაშე დადგეს. დანაზოგების საშუალებით, დღევანდელი დღის საჭიროებების დაკმაყოფილება მომავალი თაობებისთვის სოციალური და ეკონომიკური გარემოს დაუზიანებლად ხდება. მსოფლიო დაზოგვის დღის ჩატარება სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციების, ეროვნული ბანკის, აკადემიებისა და ასოციაციების მონაწილეობით ფინანსური სექტორისადმი მოსახლეობის ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს”, - აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

დაზოგვის კვირეულთან დაკავშირებით გაიხსნება ვებ-გვერდი წწწ.გროვია.ცომ.გე, რომელზეც განთავსდება ინფორმაცია როგორც დაზოგვის დღეზე, ასევე საბანკო პროდუქტებზე, მომსახურებებსა და, ზოგადად, მომხმარებელთა უფლებებზე. აქვე განთავსებულია სპეციალურად დაზოგვის დღისათვის მომზადებული ანიმაციური კლიპი ჭიანჭველა გროვიას შესახებ. სწორედ ჭიანჭველა წარმოადგენს დაზოგვის დღის სიმბოლოს საქართველოში, რადგან, როგორც ვებგვერდზეა განმარტებული: “ჭიანჭველები ისევე როგორც ჩვენ, ადამიანები, მომავალზე ზრუნავენ, ამიტომ მათ ძირითად საქმიანობას ზამთრისთვის მზადება წარმოადგენს. ჩვენც ვიზრუნოთ მომავალზე და სანამ ჭიანჭველები აგროვებენ, ჩვენ დავზოგოთ”. მსოფლიო დაზოგვის დღისთვის ყველა ქვეყანას სხვადასხვა სიმბოლო აქვს.

გარდა ამისა, დაზოგვის კვირეულში მონაწილე ბანკებს წარმოდგენილი ექნებათ საერთო მასალები (ბროშურები, ვიდეოკლიპები და დაზოგვის დღის საერთო სიმბოლო - გროვია), რომლებსაც ისინი არჩევნისამებრ გამოიყენებენ ბავშვებსა და მშობლებზე ორიენტირებულ სხვადასხვა აქტივობებში.

ბროშურების გავრცელების, ასევე ბანკების ფილიალებში, ბანკომატებზე, ვებ-გვერდებსა და სოციალურ ქსელებში ვიდეოს განთავსების გარდა, ქართული კომერციული ბანკები ეწვევიან სკოლებს თბილისსა და რეგიონებში, ჩაატარებენ პრეზენტაციებს, გაკვეთილებს ფინანსურ განათლებაზე და ასევე გაავრცელებენ ინფორმაციას დაზოგვის კულტურაზე. ბანკები სკოლის მოსწავლეებისთვის მოაწყობენ შეჯიბრებებსა და თამაშებს. გარდა საშუალო სკოლებისა, ფინანსური სექტორის წარმომადგენლები ესტუმრებიან უნივერსიტეტებსა და კლიენტ ორგანიზაციებს და დანაზოგების მნიშვნელობაზე ისაუბრებენ.

ეროვნული ბანკის შეფასებით, კვირეული აამაღლებს ნდობას ფინანსური სექტორისადმი და მოუწოდებს ხალხს, დაზოგონ ფული ბანკებში.

მონატრება

კობა ბულაშვილი

ძმაო კობა, ისევ მოვიდა შემოდგომა უშენოდ. 6 ნოემბერს 50 წლის გახდებოდი. შენ კი მხოლოდ 37 წელი იცოცხლე. სიკეთით და სიალალით სავსე ადამიანი დაიკლდი არა მარტო შენს ოჯახს, არამედ ყველას, ვისაც შენთან სიახლოვე ჰქონდა. რა ბედნიერი იქნებოდა შენი ოჯახი, შენ რომ მათთან ერთად იყო. შენ ხომ საოცრად თბილი, კეთილი, მზრუნველი მეუღლე იყავი. შენს საფლავს მონატრებული შენი ცოლ-შვილი 10 წლის შემდეგ კიდევ ჩამოვიდა საქართველოში. შენი შოთიკოს ხმამაღალი ტირილი ალბათ შენს ყურამდე მოვიდა. ყოველდღე მოდიოდნენ საფლავზე, სანთლებს გინთებდნენ და გულში დატეულ 10 წლის დარდებს გეჩურჩულებოდნენ. დაგვტოვეს იმ იმედით, რომ აუცილებლად კიდევ ჩამოვლენ და მამის საფლავს არ დაივიწყებენ შენი საყვარელი შვილები- შოთიკო და ნელი.

7 ნოემბერს კი დედის- ნელის დაბადების დღეა. 75 წელი შეუსრულდებოდა. თურმე რა უცებ გადის დრო. ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ ბედნიერი დედა ყოფილა, რადგან შვილის სიკვდილს ვერ შეესწრიო.

6-7 ნოემბერს მოვალთ თქვენს საფლავებთან. დაგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ თქვენი სულისთვის. ღვთიური მადლი ეფინოს მარად თქვენს სამუდამო სასუფეველს.

ვაჟა ბულაშვილის
ოჯახი

კლარა ოზაშვილი, გუგული, ალეკო, ლალი ალადაშვილები, რუსუდან ბალხამაშვილი, ნიკო თულაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

იალო სეფიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ დოდო შანშაშვილს, ვახო სეფიაშვილს, ელენე ოგბაიძეს, მეუღლის, მამის და მამამთილის გარდაცვალების გამო.

ჯროსვორდი



ვერტიკალურად: 1. ქალაქი პორტუგალიაში (სეტუბალის ოლქი) 2. ვისიმე ან რისამე სატირული ხასიათის მიბაძვა. 3. უდარდელი. 4. ძველ საქართველოში ბატონის მამულების მმართველი. 5. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ექსპრეზიდენტი. 10. მცენარე ტირიფისებრთა ოჯახისა, რომლის სახელიც სიღნაღის რაიონში ქალაქს ეწოდება. 11. უარყოფითი. 13. კედელში ამოჭრილი ნიშა საწოლისათვის. 14. ინგლისელი ფიზიკოსი, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი. 1917 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი (1877-1944 წწ) ჩარლზ... 15 ბიბლიური პერსონაჟი, აბრაამისა და სარას ძე. 16. ხაშხაშის მოუმწიფებელი რძიანი წვენისგან მოპოვებული ნარკოტიკული ნივთიერება. მედიცინაში იყენებენ ტკივილის გასაყუჩებლად. თრიაქი. 18. წყლის სილიკატების ჯგუფის, ქანწარმომქმნელი მინერალი. იყენებენ, როგორც სანაკეთო ქვას. 24. შებოლილი ხორცი.

ჰორიზონტალურად: 6. დაბა უზბეკეთის ტაშკენტის ოლქში. 7. ადგილობრივი, გარკვეულ საზღვრებს შორის მდებარე, მოქცეული, გავრცელებული. 8. კომედიის საპირისპირო თეატრალური ჟანრი. 9. გერმანული კომპანია, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს სპორტულ ბრენდს. 12. გრძელი, ფართო წამოსასხამი. 14. ჩინურ მითოლოგიაში მკურნალი ღვთაება, გამოისახავდნენ როგორც ადამიანისთავიან ფრინველს. 17. მსოფლიოში სიდიდით მეორე კუნძული, წყნარი ოკეანის დასავლეთით, ახალი... 19. იგივე ბრინჯაო. 20. ერთგვარი ტკბილი ფაფა. 21. ერთგვარი საკოსტუმე ქსოვილი. 22. ესპანელი მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი, სკულპტორი სიურეალიზმის წარმომადგენელი. 23. წვრილმარცვლოვანი დანალექიფხვიერი ქანიმ საშუალო თიხასა და ქვიშას შორის. 25. უღონო, ანუ... 26. ცვლილება, რომელიც შეაქვთ საზოგადოებრივ მოწყობაში ან დაჯგუფებებში. 27. დაბა უზბეკეთის ტაშკენტის ოლქში.

ცვილის უძველესი კბილის ბჟენი 6 500 წლისაა!

ას წელიწადს იდო მუზეუმში უძველესი დაბჟენილი კბილი, რომელიც იტალიელ და ავსტრალიელ მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა სრულიად შემთხვევით ხელმეორედ "აღმოაჩინა". კლაუდიო ტუნიცის თქმით, კბილი ბჟენის კვალით გაქვავებულ ყბის ძვალზე იპოვეს, რომელიც თანამედროვე სლოვენიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს. მას შემდეგ 24-30 წლის მამაკაცის ქვედა ყბის ძვალი იტალიის ქალაქ ტრიესტის მუზეუმში ინახებოდა.

ტუნიცმა და მისმა კოლეგებმა ყბის ძვალი მუზეუმიდან რენტგენის ახალი აპარატის ტესტირებისთვის აიღეს, ტესტის მიმდინარეობისას კი ერთ-ერთ ეშვზე უცხო მასალის კვალი აღმოაჩინეს.

ამის შემდეგ მკვლევრებმა კბილის მაღალი ხარისხის სამგანზომილებიანი გამოსახულება მიიღეს. მათ დააფიქსირეს ვერტიკალური ბზარი და დიდი ღრუ, ეს უკანასკნელი უცხო მასალით იყო ამოვსებული, რომელიც ბზარის ზედა ნაწილსაც ფარავდა.

ინფრაწითელი სპექტროსკოპიით კი დადგინდა, რომ კბილის ღრუ ფუტკრის ცვილით იყო ამოვსებული. რადიაქტიური მეთოდით ასაკის დადგენისას კი აღმოჩნდა, რომ გაქვავებული მასა "სულ რაღაც" 6500 წლისაა.

ეს საინტერესოა!

1. ტიბეტურ ენაზე ლამა ყველაზე მაღალს ნიშნავს.

2.მოცარტს აქვს ცხოვრებისეული ოპერა-კომედია სახელწოდებით-,,ისინი ყველანი ისე იქცევიან, როგორც ქალები".

3.ოსკარ უაილდმა ქალაქგარეთ გასეირნებისთვის აუცილებელი ტანისამოსი გამოიგონა, რომელსაც დღეს შორტებს ეძახიან.

4.აფთიაქს ადრე ,,ალქაჯების სამზარეულოს" ეძახდნენ.

5.მაჰათმა სანსკრიტზე ,,ღვთაებრივ ზეადამიანს" ნიშნავს.

6.20 წლის დანიელა ნელსონს 52 კილოგრამიანი როტველიერი დაესხა თავს, ქალიშვილი არ დაიბნა და ძაღლს... კბილებით ჩააფრინდა, გაოცებულმა როტველიერმა თავი დაანება მსხვერპლს და წკმუტუნით გაიქცა. ძაღლის პატრონი ამბობს, რომ ცხოველმა სერიოზული შოკი მიიღო.

7. აშშ-ში, სადაც კერძო საკუთრება ღამის ხელშეუხებელ სიწმინდედ მიიჩნევა, დაკეტილი სახლის კარზე შესაძლოა თვალი მოჰკრა წარწერას: ,,არ შეხვიდეთ, გესვრიან! ცოცხლად გადარჩენილებს გაასამართლებენ."

8.გოლგოთა ,,თავის ქალას" ნიშნავს.

9. ,,გინესის რეკორდების წიგნში" შესულია კვერცხი, რომელიც 1979 წლის 2 ოქტომბერს ტოკოში 198 მეტრის სიმაღლიდან ჩამოაგდეს და არ გატყდა.

10.დაძაბული ფიქრის დროს ადამიანი უამრავ კალორიას წვავს.

11.შვეიცარიაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: მსუბუქი ყოფაქცევის ქალმა დახმარებისთვის ადვოკატს მიმართა- კლიენტის საძიებლად, ღამით ვერ გამოვდივარ, პოლიცია მუშაობის საშუალებას არ მაძლევსო, ადვოკატმა ძალზე მარტივი გამოსავალი შესთავაზა-ძაღლის შეძენა ურჩია, შვეიცარიის კანონების მიხედვით, ძაღლის პატრონს უფლება აქვს, ღამის განმავლობაში ორჯერ გაასეირნოს ორფეხა მეგობარი.

12.აკაკი წერეთელი ამბობდა: ,,გვირგვინებს ნუ მოიტანთ, როდესაც მოვკვდები, თუ ჩემი პატივისცემა გინდათ, იმ გვირგვინების ფული ახლავე მომეცით".



13.აშშ-ს სასწავლო დაწესებულებაში ხშირად ნახავთ წარწერას ,,გამაგრდით, მალე პარასკევია."

14.ერთადერთი პლანეტა მზის სისტემაში, რომელსაც ღმერთის სახელი არ ჰქვია დედამიწაა.

15.მსოფლიოს ყველაზე ,,ახალგაზრდა" ქვეყანა იემენია, იქ მოსახლეობის 52% 15წლამდე მოზარდია.

მადლიერება

რამდენიმე დღის წინ ჩემს მშობლიურ სოფელ არხილოსკალოში ფონდი „ქართუ"-ს მიერ საჩუქრად გადმოცემული სპორტული არენა გაიხსნა, რომელსაც მამაჩემის, წარსულში ცნობილი სპორტსმენის-ბიჭიკო ბუჩუკურის სახელი მიენიჭა. მან ბევრი სპორტსმენი აღზარდა, წლების განმავლობაში ტარდებოდა მისი სახელობის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, სადაც გამარჯვებულს მისი სახელობის პრიზიც გადაეცემოდა ხოლმე. მაგრამ გავიდა დრო და მისი სახელიც დავიწყებას მიეცა. ამ დღეებში კი საჭიდაო დარბაზისთვის მისი სახელის მინიჭებამ მე დიდი სიხარული მომანიჭა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მამაჩემი გაცოცხლდა...

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, ამ იდეის სულისჩამდგმელს თამაზ თამაზაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს, მწვრთნელ კახა წიკლაურს, და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ კეთილშობილურ საქმეში. ღმერთი გფარავდეთ ყველას!

პატივისცემით, ეკა ბუჩუკური

„დედოფლისწყაროს საათი"
ილია მარტყოფლიშვილთან ერთად
კვირა 17:30
დარეკეთ სტუდიაში 0322 388-105
განმეორებით 00:30
მოძებნე „ობიექტივი"

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 04.11		სამშაბათი 05.11		ოთხშაბათი 06.11		ხუთშაბათი 07.11		პარასკევი 08.11		შაბათი 09.11		კვირა 10.11	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
10 °	8 °	11 °	8 °	11 °	10 °	12 °	10 °	12 °	9 °	9 °	8 °	9 °	6 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნინარა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K